გიორგი დორეული

ავტორიტეტი, კონფორმიზმი და დამოუკიდებელი აზროვნება თანამედროვე საზოგადოებაში

საზოგადოების თითქმის ყოველი ფენა აღიარებს ავტორიტეტის ზემოქმედებას. ის შესაძლებლობას გვაძლევს განვავითაროთ ისეთი რთული სტურქურები, როგორიცაა, ვაჭრობა, თავდაცვა, ვარეგულიროთ სოციალური კონტროლი. ჩვენ ბავშვობიდანვე ვსწავლობთ, რომ მორჩილება სწორია, ხოლო დაუმორჩილებლობა - არასწორი. ბიბლიის მიხედვით, დაუმორჩილებლობამ განაპირობა ადამისთვის, ევასთვის და ზოგადად კაცობრიობისთვის სამოთხის დაკარგვა.

ხალხის აზრით, ავტორიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია გვკარნახობს, თუ როგორ მოვიქცეთ კონკრეტულ სიტუაციაში. ეს მართლაც ასეა, მაგრამ არა ყოველთვის. ბავშვობაში გვგონია, რომ მშობლებს, მასწავლებლებს, ჩვენზე მეტი ცოდნა აქვს და მათი რჩევები სასარგებლოა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ისინი ჩვენზე ჭკვიანები არიან. მაგრამ, სამწუხაროდ, არის ისეთი შემთხვევებიც როდესაც ადამიანები ავტორიტეტს ემორჩილებიან იმ დროსაც, როდესაც მორჩილება გონივრული არაა.

არსებობს რამდენიმე სახის სიმბოლო, რაც ავტორიტეტის მოდელის შესაქმნელად გამოიყენება:

ტანისამოსი
ელეგანტური საქმიანი პიჯაკი არანაკლებ გავლენას ახდენს ადამიანებზე.

ტეხასში ჩატარებული ექსპერიმენტის მიხედვით, შუქნიშნის წითელ შუქზე ფეხით მოსიარულეების უმეტესობა გადავიდა მაშინ, როდესაც მათ წინ პიჯაკიანმა კაცმა დაარღვია საგზაო წესები და გადაჭრა გზა წითელ შუქზე. ხოლო მაშინ, როდესაც არაკლასიკურ ფორმაში ჩაცმული მოქალაქე მოიქცა ზუსტად ისე, როგორც პიჯაკიანი, მას არ გაყვა უკან მდგომი საზოგადოება.

ატრიბუტები
ძვირფასი ავტომობილი ავტორიტეტული სობოლოების ერთ-ერთი ატრიბუტია.

კვლევების შედეგად ნათელი გახდა, რომ ხშირ შემთხვევაში მძღოლები უფრო მოთმინებით ეკიდებიან და არ უსიგნალებენ მათ წინ მდგომ ძვირფას ავტომობილს, ვიდრე იაფფასიანს. ეს კიდევ ერთი დასტურია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძვირფას ნივთებს და როგორ მექანიკურად იწვევენ ისინი სხვებისგან დათმობას და ერთგვარ მორჩილებას.

როგორ ვთქვათ არა?
მორჩილებისგან თავის დასაღწევად აუცილებელია გვქონდეს საკუთარი აზრი ამა თუ იმ თემაზე და არ მივცეთ ავტორიტეტს ჩვენზე გავლენის მოხდენის საშუალება.
მაგალითისთვის მინდა მოვიყვანო ფილმი რომელსაც ჩვენ ვუყურეთ. ეს არის „ბუზთა ბატონი“ და აქ ნათლად ჩანს ავტორიტეტის ძალა, როდესაც ყველა ერთი ბიჭის ნებას ემორჩილება.

ცნება კონფორმიზმი რამდენიმე მნიშვნელობით შეიძლება განისაზღვროს.
1. კონფორმიზმი _ უცხო ენათა ლექსიკონის მიხედვით, არის ერთგვარობა, უძრაობა, შემთანხმებლობა.
2. კონფორმიზმი _ პოლიტიკაში გულისხმობს შემგუებლობას არსებულ რეჟიმთან, გაბატონებულ შეხედულებებთან პასიურ შეგუებას. რაც ხასიათდება საკუთარი პოზიციის არარსებობით.
3. ხოლო სამედიცინო ლექსიკონის მიხედვით, კონფორმიზმი არის ქცევა, რომელიც კონტროლდება ჯგუფური ზეწოლის მეშვეობით.

კონფორმისტია ადამიანი, რომელსაც არსებული წესრიგისა და სოციალური გარემოს მიმართ აჯანყების სურვილი არ უჩნდება და არ სურს ამ ურთიერთობებისაგან გარიყვა.

ახლა კი მოდით განვიხილოთ კონფორმიზმის მაგალითები.

ავიღოთ თუნდაც საბჭოთა კავშირის მაგალითი. ნებისმიერი ადამიანი უკრიტიკოდ ემორჩილებოდა სისტემას, ხოლო თუ ვინმე გააკრიტიკებდა, მას ან ასახლებდნენ ან ხვრეტდნენ.

ან თუნდაც ფილმები, რომლებსაც ჩვენ ვუყურეთ - „451 გრადუსი ფარენჰეიტით“. მეხანძრეები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ემორჩილებოდნენ კანონს, ხოლო თუ არ დაემორჩილებოდნენ მათ სახელმწიფოს მტრებად თვლიდნენ. ასევე „ცხოველების ფერმა“, სადაც ყველა ცხოველი უსიტყვოდ და უკრიტიკოდ მიჰყვებოდა სისტემას.

ხოლო ნონ-კონფორმიზმი არის კონფორმიზმის საწინააღმდეგო მცნება, ანუ როდესაც სისტემას არ ემორჩილები და გაქვს საკუთარი აზრი ამა თუ იმ თემაზე.





მეორე სურათზე დატანილი ტექსტის შინაარსი კი ასეთია: განსხვავებული აზრის ქონა კარგია მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ეს ყველაფერი სწორი მიზეზებიდან გამომდინარეობს. ეს იმას გულისხმობს რომ ჩვენ უნდა დავფიქრდეთ როდის არის საჭირო კონფორმიზმი და როდის ნონ-კონფორმიზმი.

ახლა კი მინდა რამოდენიმე სიტყვით შევეხო დამოუკიდებელ აზროვნებას თანამედროვე საზოგადოებაში.
ჩემი აზრით ადამიანი,რომელიც არ აზროვნებს დამოუკიდებლად და არ აქვს საკუთარი შეხედულებდა ამა თუ იმ თემაზე, ეს ნიშნავს იმას რომ ის დამოკიდებულია ვიღაცაზე, რაც ძალიან ცუდია რადგანაც ნებისმიერ ადამიანს რომელზეც ხარ დამოკიდებული შეუძლია თავს მოგახვიოს საკუთარი აზრები, რამაც შეიძლება ცუდი შედეგები გამოიწვიოს.



ამ სქემაზე მოცემულია რამოდენიმე მიმართულება,რომლებზეც ჩემი აზრით ადამიანებს საკუთარი შეხედულება უნდა ჰქონდეთ.ავიღოთ თუნდაც ფრესკები, რომლებიც აღწერენ რენესანსის პერიოდს. ბევრისთვის ეს გარყვნილებაა, ხოლო პირადად ჩემთვის ეს ასე არ არის. მაგალითად, მოვხდი რომელიღაც ჯგუფში სადაც არის 20 ადამიანი და აქედან 19 ფიქრობს რომ ეს გარყვნილებაა, ხოლო მე მაქვს საპირისპირო აზრი. მაგრამ მიუხედავად ამისა რადგანაც მე ვარ ერთი და ისინი არიან ცხრამეტნი შეიძლება შიშის და მორიდების გამო მეც მათ აზრზე გადავიდე, რაც ძალიან ცუდია. აი სწორედ აქ გამოჩნდა კონფორმიზმსა და დამოუკიდებელ აზროვნებას შორის კავშირი, როდესაც ჯგუფის ზეწოლის შედეგად მე შევიცვალე დამოკიდებულება ამ შემთხვევაში ფრესკებზე. ადამიანებს არ უნდა შეეშინდეთ საკუთარი აზრის გამოხატვის და ყოველთვის უნდა დაიცვან საკუთარი აზრი.

გამოყენებული მასალა:

- Intermedia.ge
- abadu.wordpresss.com
- Edulab.ge
- Daglilialubali.wordpress.com

გიორგი დორეული - თსუ საბავშვო უნივერისტეტის ზაფხული სკოლის მსმენელი,
სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-GESS X კლასი